

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
2023 წლის 30 მაისის #119/01/01 ბრძანების საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და
სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე პროფესორის (კატეგორია „ბ“) სამსახურში მისაღებად
გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №56/2023 დადგენილების მე-8 პუნქტის საფუძველზე
დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

24 ივლისი 2023 წელი

თსუ II კორპუსი, ოთახი 107

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული
შემადგენლობა:

1. ნოდარ ფოფორაძე -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. გურამ ქუთელია - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. დავით შენგელია - აკადემიკოსი, თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის პეტროლოგიის, მინერალოგიის, გეოქიმიისა და ლითოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
4. სულხან გველესიანი-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. მარიამ ახალკაციშვილი - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);

დღის წესრიგი:

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია - პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე პროფესორის („ბ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულის გამოვლენა;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნ. ფოფორაძის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

მან აღნიშნა რომ, თსუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №56/2023 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში. საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. საკონკურსო დოკუმენტაცია გაიხსნა სხდომაზე კომისიის მიერ და კომისია შეუდგა მუშაობას. გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე პროფესორის 1 ვაკანსიაზე** (კატეგორია „ბ“) განცხადება შემოიტანა ორმა კანდიდატმა

1. **თამარ წუწუნავა**
2. **ავთანდილ ოქროსცვარიძე**

კონკურსანტების შეფასება მოხდა ორ ეტაპად. შეფასების I ეტაპზე შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4, დადგენილება #45/2017, 01.05.2017).

მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის კონკურსანტის **თამარ წუწუნავას შეფასება /პროფესორი, კატეგორია „ბ“/.**

შეფასების I კატეგორია („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტის, **თამარ წუწუნავას განათლება /კვალიფიკაცია - სამთო ინჟინერ-გეოლოგი/, სამეცნიერო ხარისხი /გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი/, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი /26 წელი/ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) **მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.**

შეფასების II კატეგორია („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მინერალოგიის, პეტროგრაფიისა და გეოქიმიის კათედრის ლექტორი, დოცენტი 1992-2006 წწ, ამავე კათედრის მოწვეული ლექტორი 2012-2022 წწ), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად მაგმური და მეტამორფული ქანმანქანი მინერალების მიკროსკოპული კვლევისთვის. გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 1997 წ.) და წაკითხული სალექციო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სი-**

ლაბუსების შინაარსი და ფორმა სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან, პროფილის მიხედვით წარმოდგენილი სასწავლო კურსები გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმის საგნების ნუსხაში შედის, მათგან სავალდებულო კურსებია მინერალოგია 1 და 2, მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია 1 და 2, ზოგადი გეოლოგია, გეოლოგიის შესავალი, არჩევითი კურსები მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევის მეთოდები, მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევის სპეც. მეთოდები 1 და 2. წარმოდგენილია „მაგმური ქანების გეოქიმიის“ კურსის სილაბუსი, რომელიც განსხვავებული შინაარსით ისწავლება და შესაძლებელია ამ შინაარსით კურსი შეტანილი იქნეს გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა თამარ წუწუნავამ მიიღო შეფასება - „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 5 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მანძილზე: მოხსენებით წარსდგა 25 საერთაშორისო და 1 ადგილობრივ კონფერენციაზე, არის 2 საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი. ციტირების ინდექსი Web of Science-ის მიხედვით - 10, h ინდექსი - 2 /მონაცემი აღებულია Web of Science-ის ბაზიდან/, თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან.

კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის შინაარსი და კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია პროფილის შესაბამისია.

წარმოდგენილი კონცეფცია ნათლად ასახავს კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესებს, გამოცდილებას და ხედვას მიმართულების განვითარებაში, კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობაში. კონკურსანტი ყურადღებას ამახვილებს კვლევისა და სწავლების ინტეგრირების გაღრმავების აუცილებლობაზე.

კონკურსანტის შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით („სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“) არის „მაღალი“.

IV კატეგორია („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“)

წარმოდგენილია ბოლო 6 წელიწადში განხორციელებული აქტივობები :

იყო 2 დოქტორანტის ხელმძღვანელი /ერთი დაცული დისერტაციის ხელმძღვანელი/, სადისერტაციო დაცვის საბჭოების და კომისიის წევრი, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციებისა და იუბილეების სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტების თავმჯდომარე და წევრი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრი, მეცნიერების, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის (WASET) სამეცნიერო კომიტეტის წევრი, სხვადასხვა სარედაქციო კოლეგიის წევრი; არის „გეოლოგიის

ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონი“-ის რედაქტორი და ერთ-ერთი შემდგენელი, ლოქის კრისტალური მასივის გეოლოგიური და მეტამორფული ფაციესების რუკების (მასშტაბი 1:50 000) ერთ-ერთი შემდგენელი.

მიღებული აქვს ჯილდოები:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი „გეოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისთვის“.

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისა და ინსტიტუტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

სრულად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, საოფისე პროგრამებს.

შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის - „მაღალი“.

მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის კონკურსანტის ავთანდილ ოქროსცვარიძის შეფასება /პროფესორი, კატეგორია „ბ“/.

შეფასების I კატეგორია („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტის, ავთანდილ ოქროსცვარიძის განათლება /კვალიფიკაცია სასარგებლო ნამარხების ძებნა-ძიება, ინჟინერ-გეოლოგი/, სამეცნიერო ხარისხი /გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი/, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი /11 წელი, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით/ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება /2013 წლიდან 2022 წლამდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გეოლოგიის მიმართულებით, 2022 წლიდან დღემდე ამავე უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი/ და წაკითხული სალექციო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: არ არის დაცული თსუ სილაბუსის ფორმა, არ არის სრულ თანხვედრაში თსუ გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურსების შინაარსთან, სწავლის ფორმებთან და შედეგებთან. პროფილის მიხედვით წარმოდგენილი სასწავლო კურსებიდან გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმის საგნების ნუსხაში შედის მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია, მადნიანი საბადოების გეოლოგია და დედამიწის ქერქის გეოქიმია /განსხვავებულია თემატიკა და სწავლების ფორმა /.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა ავთანდილ ოქროსცვარიძემ მიიღო შეფასება - „საშუალო“.

შეფასების III კატეგორია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მექანე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 11 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მანძილზე - მოხსენებით წარსდგა 8 საერთაშორისო კონფერენციაზე, არის 7 საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი, ციტირების ინდექსი Web of Science -ის მიხედვით - 57, h ინდექსი - 4 /მონაცემი აღებულია Web of Science-ის ბაზიდან/. თანამშრომლობს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან.

კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შინაარსი და კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია პროფილის შესაბამისია.

კონკურსანტის შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით („სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“) არის „მაღალი“.

IV კატეგორია („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“)

წარმოდგენილია ბოლო 6 წელიწადში განხორციელებული აქტივობები :

ავთანდილ ოქროსცვარიძის ხელმძღვანელობით დაცული იქნა ერთი სადოქტორო, 12 სამაგისტრო და 7 საბაკალავრო ნაშრომი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 3 სადოქტორო დისერტაციაზე.

ჯილდოები და პრემიები:

იუნესკოს (IUNESCO) გეოლოგიური მემკვიდრეობათა საერთაშორისო კავშირის (IUGS) ჯილდო საველე შეკრებებისა და სამეცნიერო სესიების წარმატებული ორგანიზებისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებული პუბლიკაციისთვის: „დამოუკიდებლობიდან-თავისუფლებისაკენ: საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელი“ მიენიჭა საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო.

მონოგრაფიისათვის: „კავკასიონის ჰერცინული გრანიტოიდული მაგმატიზმი“ მიენიჭა ალ. ჯანელიძის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემია.

წიგნისათვის: „ Geotourism Potential of Georgia, The Caucasus“, მიენიჭა ალ. თვალჭრელიძის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემია.

არის რამოდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო გაერთიანების წევრი, მათ შორის: „ევრო-გრანიტის“ (EG), „ევროპის გეო-მეცნიერთა კავშირის“ (EGU), „ევროპის გეოქიმიკოსთა ასოციაციის“ (EGA), „თორიუმის ენერჯის ალიანსის“ (TEA) და „მდგრადი განვითარების საერთაშორისო საზოგადოების“ (TSDS).

ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს

შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის - „მაღალი“.

კომისიის აზრით კონკურსანტების გამოცდილება და საქმიანობა ხელს შეუწყობს კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

კონკურსანტებს მიენიჭათ პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდნენ შეფასების მეორე ეტაპზე, გასაუბრებაზე.

გასაუბრება ჩატარდა პრეტენდენტთა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მოკლე მიმოხილვისა და კითხვა-პასუხის სახით.

თამარ წუწუნავა /ინფორმაციის მოკლე მიმოხილვა/.

პრეტენდენტმა ისაუბრა სამეცნიერო ინტერესებზე, მიღწევებსა და პედაგოგიურ გამოცდილებაზე. თამარ წუწუნავას გააჩნია ორმოცწლიანი სამეცნიერო და ოცდაექვსწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. მისი სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა „მაგმატიზმი და მეტამორფიზმი საქართველოს ტერიტორიაზე“.

თამარ წუწუნავა 2009 წლიდან ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია, ამ პერიოდში ჩამოაყალიბა გეოლოგიური კვლევის კომპლექსური ლაბორატორია, რომელიც სამეცნიერო დანიშნულებასთან ერთად საუკეთესო სასწავლო-პრაქტიკულ ბაზას წარმოადგენს.

პრეტენდენტმა აღნიშნა კვლევისა და სწავლების ინტეგრირების გაღრმავების აუცილებლობა და განიხილა დარგის განვითარების შესაძლებლობები. ამისათვის მიაჩნია, რომ საჭიროა გაიზარდოს კავშირი დეპარტამენტსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ცენტრებს შორის. ისაუბრა განხორციელებული სამეცნიერო პროექტების შესახებ. მისი აზრით უნდა შესრულდეს ერთობლივი პროექტები დარგის სხვადასხვა მიმართულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით. თამარ წუწუნავამ ყურადღება გაამახვილა თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნისა და უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნის აუცილებლობაზე.

კომისიის წევრებმა კითხვები დაუსვეს პრეტენდენტს. კითხვები ეხებოდა საკონკურსოდ წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომს, უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობას, სასწავლო კურსების სილაბუსებს, თსუ-ში მოქმედ გეოლოგიის პროგრამებს.

კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავად უპასუხა.

ავთანთილ ოქროსცვარიძე /ინფორმაციის მოკლე მიმოხილვა/.

პრეტენდენტმა ისაუბრა აღნიშნული თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მოტივაციაზე. აღნიშნა რომ, გამოცხადებული ვაკანსია სრულ თანხვედრაშია მის სამეცნიერო ინტერესების სფეროსთან, რომელიც ძირითადად მოიცავს ოროგენული მაგმატიზმის პეტროლოგიასა და სასარგებლო წიაღისეულის ფორმირების ფაქტორების კვლევას.

პრეტენდენტმა ისაუბრა სამეცნიერო ინტერესებზე, მიღწევებსა და პედაგოგიურ გამოცდილებაზე. მისი კვლევები მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საქმიანობას პეტროლოგიური და სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიების მიმართულებით.

ა.ოქროსცვარიძემ ყურადღება გაამახვილა განხორციელებულ სამეცნიერო პროექტებზე, დარგში არსებულ პრობლემებზე, საერთაშორისო კავშირებზე და ლაბორატორიული ბაზის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

კომისიის წევრებმა კითხვებით მიმართეს პრეტენდენტს. კითხვები ეხებოდა საკონკურსოდ წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს, თსუ-ში მოქმედ გეოლოგიის პროგრამებს და სასწავლო კურსების სილაბუსებს.

კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავად უპასუხა.

გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა რომ პრეტენდენტები სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ორივე ღირსეული კანდიდატია თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის სრული შემადგენლობა, 5 წევრი. მოქმედი დებულების თანახმად კენჭისყრა იყო ფარული.

მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის პროფესორის (კატეგორია ბ) თანამდებობაზე კენჭისყრის შედეგების მიხედვით

1. ოქროსცვარიძე ავთანდილი, მომხრე - 1, წინააღმდეგი - 4
2. წუწუნავა თამარი, მომხრე - 4, წინააღმდეგი -1

კომისიამ მხარი დაუჭირა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის პროფესორის (კატეგორია ბ) თანამდებობაზე თამარ წუწუნავას კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.

საკონკურსო კომისიის მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია თსუ გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო თამარ წუწუნავას სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოცდილებას, /პედაგოგიური გამოცდილება 26 წელი/, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურის და სასწავლო პროცესის სიღრმისეულ ცოდნას. წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი საგნების სილაბუსები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების თემატიკასთან და სწავლის ფორმასთან. აქვე აღვნიშნავთ, რომ 10 დან 6 სილაბუსი სავალდებულო კურსებისაა.

კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესები ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. მის მიერ წამოდგენილი პუბლიკაციები დარგის შესაბამისია და მაღალ დონეზეა შესრულებული. მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და პროექტებში.

თამარ წუწუნავას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, კონცეფციისა და გასაუბრების შედეგების შეჯერებით კომისიამ ნათლად დაინახა კათედრის საგანმანათლებლო და სამეცნიერო შემდგომი განვითარების ახალი შესაძლებლობები. კომისიამ ასევე გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და გუნდური მუშაობის გამოცდილება.

ავთანდილ ოქროსცვარიძის სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოცდილება 11 წელი დარგის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილია 10 სილაბუსი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს, კერძოდ სილაბუსის ფორმას და ნაწილობრივია შესაბამისობაში გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების თემატიკასთან და სწავლის ფორმასთან.

თსუ-ში მოქმედი პროგრამების შესაბამისად შეიძლება განხილული იყოს 3 სილაბუსი, რომლებიც თსუ გეოლოგიის პროგრამაში თემატიკით და სწავლის ფორმით ასევე განსხვავებულია. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში თემები და ლიტერატურა თითქმის მეორდება. წამოდგენილი სილაბუსებიდან 2 სადოქტორო პროგრამისაა, თსუ გეოლოგიის სადოქტორო პროგრამაში სპეციალობის კურსები არ არის გათვალისწინებული.

ავთანდილ ოქროსცვარიძის მის მიერ წამოდგენილი პუბლიკაციები დარგის შესაბამისია და მაღალ დონეზეა შესრულებული. მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში. რითაც ჩანს მისი მაღალი სამეცნიერო პოტენციალი.

წარმოდგენილი კონცეფციისა და გასაუბრების შედეგების შეჯერებით კომისია დარწმუნდა პრედენტის პროფესიონალიზმში.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად პრედენტს მხარი დაუჭირა კომისიის ერთმა წევრმა (1 მომხრე, 4 წინააღმდეგი)

დაადგინეს:


1. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის (1 ადგილი) კათედრაზე პროფესორის თანამდებობაზე სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის I და II ეტაპის შედეგების შეჯამებითა და ფარული კენჭისყრის ბიულეტენების დათვლის შედეგად (მომხრე - 4, წინააღმდეგი-1), გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრა,
/პროფესორი, ბ კატეგორია/
თამარ წუწუნავა

2. შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრები:

ნოდარ ფოფორაძე (კომისიის თავმჯდომარე);




გურამ ქუთელია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)



დავით შენგელია (კომისიის წევრი)



სულხან გველესიანი (კომისიის წევრი)



მარიამ ახალკაციშვილი (კომისიის მდივანი)

